



## ინფორმაცია

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის მეორე ნახევრის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
  - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

#### 1. შესავალი

2013 წლის მეორე ნახევარში სულ განხილულია 447 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 53 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 37 გადაწყვეტილება-განჩინება (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 27, რუსთავის რაიონულმა სასამართლომ – 2, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 2, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ – 2, ბოლნისის მაგისტრატმა სასამართლომ – 2, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 1);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16 გადაწყვეტილება-განჩინება (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 6, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 5, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 1, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 1, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 1, ფოთის საქალაქო სასამართლომ – 1);

#### 2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

##### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

**სასამართლოს შეცდომა (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები სსკ-ის 242-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2206-12 28.12.12) ბოლნისის რაიონული სასამართლოს (№2/48012 07.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას,

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად გააუქმა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ქართული ენის არცოდნის საფუძველით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სსკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. მითითებული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი, რომლის მეშვეობით მას შეუძლია, სრულად განახორციელოს ყველა ის უფლება, რაც მას აქვს მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. აღნიშნული უფლების რეალიზაციას ემსახურება სსკ-ის 213-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე, სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ იურიდიულად დაუსაბუთებელია (**გადაწყვეტილება №217-209-2013 20.09.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/4964-12 21.03.13) ბოლნისის რაიონული სასამართლოს (№2/198-12 26.10.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნათა უგულებელყოფით არასრულად იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს ვალდებულებაა, სრულად იმსჯელოს მოსარჩელის ყველა მოთხოვნაზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ზუსტ პასუხს მოსარჩელის მოთხოვნაზე, ხოლო სამოტივაციო ნაწილში უნდა აისახოს შესაბამისი დასაბუთება, რა მოსაზრებებიდან გამომდინარე კმაყოფილდება ან არ კმაყოფილდება სარჩელი. სასამართლო შეზღუდულია მხარის მოთხოვნებითა და სარჩელის საფუძველებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონი, ვინაიდან მხოლოდ ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე იმსჯელა. შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს (**გადაწყვეტილება №ას-524-498-2013 26.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/539-13 07.03.13) რუსთავის საქალაქო სასამართლოს (№2-641-10 04.11.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, როგორც მატერიალური კანონმდებლობის („მეწარმეთა შესახებ“), ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის გათვალისწინებით, კერძოდ, მოპასუხის (საზოგადოების დირექტორის) მიერ საწარმოში არსებული მოგების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს დააკისრა. ასევე დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, არასწორად შეაფასა მისცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, სწორედ საზოგადოების დირექტორმა უნდა

ამტკიცოს ის გარემოება, რომ საწარმოს მოგება მან არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ მართლზომიერად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად გახარჯა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს, განსახილველ შემთხვევაში საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არა მოსარჩელისათვის, არამედ მოპასუხის, საზოგადოების დირექტორისათვის უნდა დაეკისრა. ამდენად, მტკიცების ტვირთის არასწორი გადანაწილებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად შეუფასებლობის საფუძველით საკასაციო პალატამ საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-479-455-2013 09.10.13).

**სასამართლოს შეცდომა (მტკიცებულებათა შეფასება სსკ-ის 105-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-732 27.08.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1885-11 23.04.12) გადაწყვეტილებაზე, სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ პირგასამტეხლოს ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით შემოსული საჩივრის განხილვისას, კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი საბანკო გარანტიის პირობები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. მან მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებსა და შეფასებებზე მიუთითა, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ შემოწმებულ იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება. ზემოაღნიშნული გარემოება კი, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საქმის უკან დაბრუნების საფუძველია (განჩინება №ას-1353-1277-2012 01.07.13).

– სსკ-ის 105-ე მუხლი დარღვეულია ასევე საქმეზე №ას-1585-1488-2012 01.07.13; №ას-1300-1227-2012 01.07.13; №1291-1218-2012 01.07.13; №ას-1648-1545-2012 06.09.2013; №ას-1163-1092-2012 25.12.13; №ას-1651-1548-2012 10.10.13; №ას-1673-1569-2012 09.10.13; №ას-373-354-2013 23.12.13; №ას-244-234-2013 10.10.13; №ას-223-215-2013 01.11.13; №ას-1529-1443-2012 09.12.13, რომელიც განხილულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/598-12 07.06.12; №2ბ/3728-12 16.10.12; №2ბ/3487-12 17.01.13; №2ბ/2331-12 28.12.12; №2ბ/2619-12 01.11.12; №2ბ/1231-12 08.10.12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2/ბ-837 16.10.12; №2/ბ-180 06.06.12; №2/ბ-509 19.07.12; №2ბ/735 25.12.12; №2ბ/43 20.02.13.

გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/6427-11 10.01.12; №2/3898-11 30.01.12; №2/2364-08 14.04.09; №2/71051-10 21.02.12); რუსთავის საქალაქო სასამართლომ (№2-464-11 30.01.12); ბათუმის საქალაქო სასამართლომ (№2-1753-2011 23.03.12); ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ (№2-536-12 29.11.12). სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ (№2/36 11.06.12); ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ (№2-339/11 29.12.11); ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (№2-562-11 16.02.12) და ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ (2/34-12 21.05.12).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 180-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1393-12 31.10.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1396-10 23.02.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას,

არასწორად მიიჩნია, რომ სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი გამოძინარეობდა მოსარჩელისათვის ქონებრივი სიკეთის მიღებაში, რაც ცხადყოფდა, რომ მოსარჩელეს, სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, გააჩნდა განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძველიანი ინტერესი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესზე. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა გარიგების ბათილობას სადავო ქონების დაბრუნების გარეშე. აღიარებითი სარჩელი კი წარმოადგენს იმ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას, რომელიც სადავოა მხარეთა შორის და რომელიც არ ითვალისწინებს მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-1607-1509-2012 01.07.13).

### **სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 180-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ3766-12 12.02.13) ახალქალაქის რაიონული სასამართლოს (№2/112-12 10.08.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მოთხოვნა მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების შეტანის დაგვალბების თაობაზე არასწორად დააკმაყოფილა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნით არ მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართული იყო სადავო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თავის საკუთრებად რეგისტრაციისაკენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდოდა არც საჯარო რეესტრის მიერ სადავო ფართის მის საკუთრებაში რეგისტრაციაზე წარმოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას და არც ამ ფართის მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრაციის ფაქტს. ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ინფორმაციას, ხოლო მასში სასამართლო გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებები არ არის საკმარისი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (გადაწყვეტილება №ას-365-347-2013 11.11.13).

### **სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 180-ე მუხლი):**

მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობაა, რომლის საფუძველზეც მოპასუხეებს სადავო ქონება გადაეცათ საკუთრებაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1316-2011 17.01.12) ფოთის საქალაქო სასამართლოს (№2/338 26.09.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მოსარჩელის იურიდიული ინტერესი დასაბუთებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ხოლო ამხანაგობის გადაწყვეტილება შეეხო მის კანონით დაცულ ინტერესებს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნა, პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია. აღიარებითი სარჩელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესია. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სადავო

ფართის ფლობის მართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა და მას რაიმე სამართლებრივი კავშირი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან არ ჰქონდა (იგი არ წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს), საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს აღიარებით სარჩელის დაკმაყოფილების ნამდვილი ინტერესი არ გააჩნია, რაც, სსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (გადაწყვეტილება №ას-318-304-2012 25.12.13).

– ანალოგიურია საქმე №ას-398-377-2012 13.12.13, რომელიც განხილულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№2ბ/2194-11 17.01.12);

გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ: (№2/4054-09 18.05.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2132-12 15.01.13) თელავის რაიონული სასამართლოს (№2/30-12 27.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სასამართლო უფლებამოსილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა რომლის მიმართაც სსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობა ღვინდება, ხოლო მოთხოვნათა დარჩენილი ნაწილის მიმართ უნდა დანიშნოს სხდომა და საქმე არსებითად განიხილოს ამავე ნორმით დადგენილი წესით. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მოსარჩელე ერთი მოთხოვნის ფარგლებში აერთიანებს მის რამდენიმე მოთხოვნას, თუმცა მათი გაყოფა, საქმის ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, დასაშვებია, მოთხოვნის დაყოფას მისი მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა დასაშვებად მიიჩნევს, თუ იგი თავისი ბუნებით არ ქმნის სამართლებრივ ერთიანობას. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლის კვლევით დასტურდება, სარჩელის ერთიანი (დაუყოფელი) მოთხოვნის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობები, სასამართლომ უარი უნდა განაცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და საქმე განიხილოს მხარეთა დასწრებით, თუმცა მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიუღებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე დააბრუნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-307-292-2013 25.12.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 248-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4123-12 06.02.13) სიღნაღის რაიონული სასამართლოს (№2/67-12 06.09.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, კერძოდ, თავისი გადაწყვეტილებით გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მხარეს უსაფუძვლოდ დააკისრა გარკვეული თანხის გადახდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სხენებული მუხლით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება თანხის უსაფუძვლოდ დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილება №ას-336-320-2013 21.10.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№-2/პ-1291 26.12.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/260-11 01.06.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სასამართლომ ისე მიიჩნია ბათილად მოპასუხის საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომ სარჩელის საგანს არ წარმოადგენდა რეესტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის - მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმების მოთხოვნა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს არათუ არა ქვს წამოყენებული ზემოაღნიშნული მოთხოვნა, არამედ არც კი უთითებს ამ აქტის უკანონობაზე. მოსარჩელე თავისი მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებს მხოლოდ კომლიდან მისი გამოყოფის შესახებ სოფლის გამგეობის გადაწყვეტილების უკანონობაზე, იმ საფუძველით, რომ მას კომლიდან გამოყოფის შესახებ განცხადებით გამგეობისათვის არ მიუძღრათავს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის საკუთრების გაუქმების თაობაზე იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია (გადაწყვეტილება №ას-340-325-2012 10.12.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2პ/3763-11 01.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7365-09 07.06.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლი და საქმე დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად, გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებულობის გამო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებლობა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ შეიძლება გახდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძველად მიიჩნია, არ განეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-907-852-2012 16.09.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 162-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/პ-1143-12 13.12.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2/157-12 29.08.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად მიიჩნია, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების განსაზღვრისას, იგი ტარდება მხოლოდ პირის სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამებში ჩართვის მიზნით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-5 თავის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დამსაქმებლისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სარჩოს დანიშვნის ან ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის გზით და არა სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ჩართვას. სწორედ ამ დებულებების შესაბამისად გაცემული პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ დასკვნის საფუძველზე დგინდება სარჩოს ან კომპენსაციის ოდენობა. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია, სააპელაციო სასამართლოს ამგვარი ექსპერტიზა უნდა დაენიშნა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლზე დაყრდნობით საქმე დააბრუნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-92-87-2013 01.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2567-12 14.11.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/992-12 16.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ყადაღადღებული ნივთების კასატორებისადმი კუთვნილების ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ მოწმის ჩვენება არ მიიჩნია საკმარისად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად, (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა სკ-ის 151-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილების მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე, შესაბამისად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმფციები, რაც ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია (**გადაწყვეტილება №ას-26-24-2013 10.07.13**).

– ანალოგიურია საქმე №ას-204-197-2013 01.07.13, რომელიც განხილულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2/ბ-3531-12 18.12.12.

**გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/6683 05.07.12).**

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 393.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1250-12 05.02.13) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-134-12 02.11.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ისე მიიჩნია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა სათანადო მოპასუხედ, რომ არ დაადგინა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი – სარჩელში დასახელებულ პირთა მიერ პროექტის დარღვევით მანსარდის დაშენება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ის უდავო გარემოება, რომ ამხანაგობის სახელზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, არ გამორიცხავს ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობას ცალკეულ შემთხვევებში. საკასაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი ვალდებულია, ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალური საკუთრება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება, რომ ამით სხვა მესაკუთრეს არ მიადგეს ზიანი, და იმოქმედოს სამეზობლო ზემოქმედებათა თემის ვალდებულების ფარგლებში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის (ნებართვის გაცემის დროისათვის მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მხრიდან საკუთარ მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხი ამხანაგობამ უნდა აგოს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა სათანადო მოპასუხედ, რითაც დაარღვია სსკ-ის 393.2-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-285-271-2013 30.09.13**).

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 130-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/4098-12 26.12.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/9037-12 07.09.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად განმარტა სკ-ის 130-ე მუხლი, როდესაც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაუკავშირა მხარეთა შორის დადებული „ნასყიდობის“ ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. ზემოხსენებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში საუბარია ნასყიდობის, როგორც უცილოდ ბათილი გარიგების კანონშესაბამობაზე, რომლითაც მხარეებმა, სკ-ის 56-ე მუხლის მიხედვით დაფარეს იპოთეკის ხელშეკრულება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო ურთიერთობებისათვის კანონმდებელმა დაადგინა ამ ურთიერთობის სუბიექტთა მიერ კანონის ცოდნის პრეზუმფცია. სწორედ ხსენებული პრეზუმფციისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით პრეიუდიციულად დადგენილია მხარეთა შორის უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების დადების ფაქტი, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ გამსესხებლისათვის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ვადის დენის დაწყების თაობაზე სესხის უზრუნველსაყოფად თვალთმაქცურად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (რომლითაც დაიფარა იპოთეკის ხელშეკრულება) ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან გახდა ცნობილი. ხანდაზმულობის საკითხის კვლევის ამგვარად გადაწყვეტა დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკითაც (იხ. სუსგ №ას-547-515-2012, 11 ივნისი,

2012 წელი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-190-183-2013 27.09.13).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 131-ე მუხლი და სკ-ის 137-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1480-12 29.01.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/12460-11 15.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მოპასუხის მიერ სხდომაზე გაკეთებული განმარტება არსწორად შეაფასა სსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად. აღნიშნული აღიარება კი, მიიჩნია სკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სსკ-ის 131-ე მუხლის საფუძველზე, მხარე შეიძლება ადასტურებდეს რაიმე კონკრეტულ ფაქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღიარება რომ არსებობდეს, უნდა მოხდეს ზუსტად იმ ფაქტის დადასტურება, რომელზედაც მოწინააღმდეგე მხარე აფუძნებს თავის მოთხოვნას. შესაბამისად, სხვა ნებისმიერი გარემოების დადასტურებას კანონმდებლობა არ მიიჩნევს აღიარებად. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას აღიარების საფუძველით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2005 წლის მდგომარეობით არც ერთი მოსარჩელე აღარ იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში მოპასუხესთან. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნაზე დასრულებული იყო 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა, კერძოდ, მოპასუხის მიერ განმარტების გაკეთების დროს სარჩელის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო, რაც ვერ ჩაითვლება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველად. სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება, შეწყდეს მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დასრულების შემდეგ მისი შეწყვეტა დაუშვებელია. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის საფუძველით (გადაწყვეტილება №ას-266-254-2013 25.12.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 114-ე მუხლი):**

საქმის მასალების თანახმად, მოპასუხის სახელზე გაცემული იყო მინდობილობა და ამ უკანასკნელს მიენიჭა უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა სადავო უძრავი ქონება, მათ შორის – აღერიცხა საკუთარ სახელზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№ბ/833-12 05.11.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-392-12 30.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სკ-ის 114-ე მუხლზე დაყრდნობით, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეს ნასყიდობის საფასური არ ჰქონდა გადახდილი, არასწორად მიიჩნია, რომ სახეზე იყო მერყევად ბათილი გარიგება, რომლის ნამდვილობა დამოკიდებული იყო მოწონებაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და 114-ე მუხლის დისპოზიციის გათვალისწინებით, აღნიშნული განმარტება არასწორია, კერძოდ, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება მერყევად ბათილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მხარეს წინასწარ არ ექნებოდა მარწმუნებლის თანხმობა, ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვის თაობაზე. ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება იქნებოდა მერყევად ბათილი, რომელიც იურიდიულ ძალას შეიძენდა იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებელი მას მოიწონებდა. განსახილველ შემთხვევაში, კი, ხელშეკრულების ნამდვილობა მარწმუნებლის მოწონებაზე არ იყო დამოკიდებული, ვინაიდან არსებული მინდობილობა

ითვალისწინებდა მარწმუნებლის თანხმობას. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი მოთხოვნებია გამყიდველის მიერ ნივთის გადაცემა, ხოლო მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა. ამ ძირითადი სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა წარმოშობს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას და არ წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს, შესაბამისად, ის გარემოება, რომ მოპასუხეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ნივთის საფასური არ გადაუხდია, არ შეიძლება ამ ხელშეკრულების ბათილობას დაედოს საფუძველად. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს საკუთრების უფლების წარმომშობი ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება ას-1655-1552-2011 08.11.13).

### **სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები)**

დავა ეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ2880-10 26.09.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5631-09 22.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, არასწორად გამოიყენა სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ბათილად არის ცნობილი საჯარო რეესტრის მიერ გამოცემული აქტი (სარეგისტრაციო ჩანაწერი), რომლითაც მოსარჩელეთა სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე გამოიცა ახალი საკადასტრო გეგმა. შესაბამისად, აღარ არსებობს მოსარჩელეთა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, ვინაიდან, აღარ დასტურდება ის გარემოება, რომ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში არსებულ ფართს ფლობს მოპასუხე და მოპასუხის კუთვნილი მიწის ფართის ნაწილი აღარ ფარავს მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ფართს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა განსაზღვრული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილებით ფაქტობრივი საფუძველი გამოეცალა სამოქალაქო სარჩელს, რაც საკასაციო სასამართლოს აზრით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (გადაწყვეტილება №ას-1662-1650-2012 11.12.13).

### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-80-12 09.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/3024-10 14.11.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად უთხრა უარი ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება დაამყარა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მისი საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** იმ ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელეს ინდივიდუალური საკუთრება არ გააჩნია სადავო ქონებაზე, ამასთანავე, ნაგებობა წარმოადგენდა უკანონო მშენებლობას, ხოლო მიწის სადავო ფართზე კანონის ძალით იყო დადგენილი მხარეთა თანასაკუთრების უფლება, საკასაციო

პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეშლის აღკვეთის ფაქტობრივი ვითარება დასაბუთებულია და რაიმე განსაკუთრებულ, საქმის მასალებში არსებული ვითარებისაგან განსხვავებულ მტკიცებას არ საჭიროებს. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არსებობდა ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი (**გადაწყვეტილება №ას-627-590-2012 01.11.13**).

**სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 181-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3858-12 14.02.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/12963-11 28.08.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა საცხოვრებელ სახლებს შორის გამყოფი ღობის არსებობა და ამ ღობის მოპასუხის მიერ მოშლის ფაქტი, მიუხედავად ამისა, ღობის აღდგენის ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია და სკ-ის 174-ე, 181-ე და 182-ე მუხლებზე დაყრდნობით მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეებს თანაბარი ხარჯებით დააკისრა სასაზღვრო მიჯნის აღმართვა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქმეში წარმოდგენილი სარჩელის თანხმად, ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებს შორის მოპასუხის მიერ მოშლილი ღობის აღდგენის დაკალდებულება. აღნიშნული მოთხოვნა სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სარჩელს და სამეზობლო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სავალდებულოა არსებობდეს სკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო მიწის ნაკვეთებს შორის გამყოფი მიჯნის არსებობის ფაქტი, რომელიც მოპასუხემ მოშალა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს ამ ნაწილში მისი დაკმაყოფილების საფუძველი (**გადაწყვეტილება №ას-395-374-2013 23.09.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 341-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2398-12 18.09.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/14605-11 30.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას საქმეში წარმოდგენილი შედარების აქტი, რომელიც მხოლოდ ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე ფაქტის კონსტანტაციას შეიცავს, არასწორად მიიჩნია ვალის არსებობის აღიარებად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ვალის აღიარების ხელშეკრულება დამოუკიდებელი გარიგებაა, კანონის მოთხოვნებიდან (სკ-ის 327-ე მუხლიდან) გამომდინარე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ პირობებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. რაც შეეხება შედარების აქტს, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად მიიჩნია, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ძველი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც არაფერია ნათქვამი აქტში მითითებული თანხის გადახდის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველად მიიჩნია (**განჩინება №ას-1485-1401-2012 11.11.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 361-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/120-12 14.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4894-11 31.10.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას საქმეში წარმოდგენილი ანგარიშფაქტურებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნია მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც, მისი განმარტებით, ადასტურებს ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს ანგარიშფაქტურებს. ანგარიშფაქტურა თავისი სამართლებრივი ბუნებით იქნება საგადასახდო მიზნებისათვის და არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი. შესაბამისად, ანგარიშფაქტურა არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტს, ასევე, აღსანიშნავია, რომ ანგარიშფაქტურის ორივე მხარეს ერთი და იმავე კომპანიის წარმომადგენლები აწერენ ხელს, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამკვეთის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ვალდებულების შესრულების ფაქტი (**გადაწყვეტილება №ას-678-638-2012 12.12.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 411-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1894-2012 06.11.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8467-11 04.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 411-ე მუხლი და სარჩელი მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქმის მასალების თანახმად, სამშენებლო კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ამ უკანასკნელს უნდა მიეღო საცხოვრებელი ბინა. მოსარჩელემ ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, მაგრამ სამშენებლო კომპანიას ვალდებულება დათქმულ ვადაში არ შეუსრულებია. მოსარჩელემ ბინის ღირებულება ბანკთან დადებული იპოთეკური სესხის ხელშეკრულების მეშვეობით გადაიხადა. იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბანკიდან სესხად მიღებულ თანხას მოსარჩელე სხვაგვარად ვერ განკარგავდა. სესხის გაცემამდე, კი მას უნდა დაედასტურებინა გარკვეული თანხის გადახდის ფაქტი (წილობრივი მონაწილეობის სახით) რაც, ამ შემთხვევაში, მისი პირადი სახსრების სხვაგვარად გამოყენებასაც გამორიცხავდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე ბინას მიიღებდა და არა სხვაგვარ შემოსავალს. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში არ დააკმაყოფილა (**გადაწყვეტილება №ას-1677-1573-2012 08.07.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 448-ე მუხლი და 450-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1535-12 26.07.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6349-11 13.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 448-ე მუხლი და 450-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ის გარემოება, რომ კრედიტორმა ერთ-ერთი სოლიდარული თავდებისაგან მიიღო მისი წილი ვალდებულების ტოლფასი სხვა შესრულება და მორიგების ფარგლებში მის მიმართ მოთხოვნაზე უარი განაცხადა, სასამართლომ ვალის პატიებად ჩათვალა და მიიჩნია, რომ ყველა სოლიდარული თავდების მიმართ ვალდებულება შეწყდა ვალის პატიებით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაში – მორიგების აქტში, სადაც საუბარია სოლიდარული მოვალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღებაზე და მორიგების ფარგლებში მის მიმართ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, არ არის დეკლარირებული კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება ვალის პატიებასთან დაკავშირებით, ამდენად ეს გარიგება (მორიგება) არ შეიძლება შეფასდეს სსკ-ის 448-ე მუხლის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ვალდებულება სხვა შესრულების მიღებით შეწყდა, მხარეს მოთხოვნის დანარჩენ ნაწილზე უარი არ უთქვამს, ამდენად სკ-ის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგულირებული ურთიერთობა არ გამოკვეთილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არსებობს სკ-ის 895-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საფუძველი (**გადაწყვეტილება №ას-1087-1018-2012 01.11.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 489-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1166-2012 20.11.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/798-12 14.09.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სკ-ის 489-ე მუხლზე დაყრდნობით არასწორად მიიჩნია სადავო ავტომანქანა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთად და სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დააკმაყოფილა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** იმისათვის, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს, მთავარი პირობაა სკ-ის 494-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის დადასტურება. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, მხარეთა შორის გაცვლის ხელშეკრულების დადებად, სადავო ავტომანქანა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, ირიცხებოდა მოპასუხის სახელზე და იმყოფებოდა მისავე მფლობელობაში. რაც ქმნის ვარაუდს, რომ გამყიდველი წარმოადგენდა გასხვისებული ნივთის მესაკუთრეს. ხოლო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ვერ აბათილებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ავტომანქანის უფლებრივ ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზია დაუსაბუთებელია (**გადაწყვეტილება №ას-24-22-2013 12.12.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 526-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4220-12 18.01.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6891-12 14.09.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არ იმსჯელა, არსებობდა თუ არა, სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველები, ასევე, არასწორად განმარტა სკ-ის 526-ე მუხლი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სარჩელი სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაექმაცოფილებინა, თუ მხარე იმგვარ ფაქტებზე მიუთითებდა, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშვა და უტყუარად დადასტურებდა გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. სკ-ის 526-ე მუხლის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო და, თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში აღმოჩნდა, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია მოითხოვოს სკ-ის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე. სკ-ის 526-ე მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება. განსახილველ შემთხვევაში კი, არ დასტურდება სადავო ბინიდან გამჩუქებლის მიერ შემოსავალს მიღება, ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბინას კვლავ მოსარჩელე ფლობს და დასაჩუქრებული ხელს არ უშლის, ქონებით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობაში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-257-247-2013 10.07.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 529-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3184-11 16.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2121-11 06.07.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 529-ე მუხლი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება, დაედოს საფუძველად, მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. მით უფრო, რომ, სკ-ის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა. ხსენებული მუხლი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას ითვალისწინებს. დადგენილი გარემოებების ნაწილი, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ უმადურობის ფაქტის დამადასტურებლად მიიჩნია, 2002 და 2006 წელს განხორციელდა, კერძოდ, თავად მოსარჩელე უთითებს, რომ დასაჩუქრებული გამჩუქებელს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა 2002 წელს, ხოლო ისრაელში დააკავეს და დეპორტაცია შეეხო 2006 წელს. თავად ქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, გამჩუქებლისთვის იმთავითვე იყო ცნობილი დასაჩუქრებული ქმედების თაობაზე, შესაბამისად, სკ-ის 529-ე მუხლის თანახმად, ამ ნაწილში სარჩელი ხანდაზმულია. რაც შეეხება ბინიდან გამოსახლების მოთხოვნას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩუქების გაუქმების საფუძველი მხოლოდ დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურობა ან გამჩუქებლის მძიმე შეურაცხყოფა შეიძლება გახდეს, შესაბამისად, სარჩელის დაქმაცოფილების შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რატომ შეიძლება ჩაითვალოს უმადურობად ან შეურაცხყოფად, მოპასუხის მიერ მისი კუთვნილი ბინის განკარგვის სურვილი და, ამ მიზნით, ნივთის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნა. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით მიიღო

ახალი გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე არ დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-62-59-2012 05.11.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 631-ე მუხლი):**

დავა ეხება მენარდის მიერ სამუშაოს შესრულებისათვის გათვალისწინებულ მყარი ხარჯთაღრიცხვის გადახარჯვის ანაზღაურებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/409-12 10.05.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/1743 29.02.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 631-ე მუხლით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სკ-ის 631-ე მუხლი განსაზღვრავს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. მყარი ხარჯთაღრიცხვა კი, ის შემთხვევაა, როდესაც ხელშეკრულებით ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს შეეძლო, ესარგებლა სკ-ის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ამასთან, რომც მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა, სკ-ის 631-ე მუხლის მიხედვით, მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინებდა შემკვეთს და ეს უკანასკნელი თანახმა იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გადახარჯვის ანაზღაურებაზე. მოცემულ შემთხვევაში ასეთი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს (გადაწყვეტილება №ას-888-834-2012 30.12.13).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 649-ე მუხლი):**

შემკვეთი სადავოდ ხდიდა მის მიერ შეკვეთილი სამუშაოს ჯეროვნად შესრულების ფაქტს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/999-12 25.12.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/690-12 31.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას გამოიყენა სკ-ის 649-ე მუხლი და მიიჩნია, რომ რადგან შემკვეთს შესრულებული სამუშაო (ექსპერტიზის დასკვნა) არ გადასცემია, სამუშაოს შესრულების ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც მოპასუხე ვალდებული არ იყო, აენაზღაურებინა ექსპერტიზის ჩატარების საფასური. ასევე განმარტა, რომ კანონი ითვალისწინებს შემკვეთის გარკვეულ შესაგებელს მენარდის მიმართ, რაც ასევე აბრკოლებს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე უარყოფდა არა სამუშაოს შესრულების ფაქტს, არამედ მის ჯეროვნად შესრულებას. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას მოპასუხე ექსპერტის დასკვნის არსებობას არ უარყოფდა. საქმეში ასევე წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ხელმოწერაზე შემკვეთმა უარი განაცხადა შეთანხმებული საზღაურის გადაუხდელობის მოტივით. მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული იყო ანაზღაურების გადახდა სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე. რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ დამკვეთის შესაგებელს მენარდის მიმართ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნივთის გადაცემამდე, დამატებითი მოთხოვნის უფლების შესაძლებლობა ამ ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს. მით უფრო, რომ, სკ-ის 655-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნა შესრულების

ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება, წარადგინოს ერთი წლის მანძილზე. ამდენად, ის გარემოება, რომ მოპასუხეს სამუშაოს შესრულების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია, ნარდობის ხელშეკრულება კი, მენარდის მხრიდან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია (**გადაწყვეტილება №ას-184-177-2013 01.10.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/3080-12 21.11.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5795-12 14.06.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიიჩნია ის გარემოება, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეწყვეტილი იყო, რაც გამორიცხავდა დამზღვევის ვალდებულებას, აენაზღაურებინა მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემია. სასამართლომ ეს დასკვნა დაამყარა სკ-ის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლებს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რომ დამზღვევის მიერ პრემიის გადაუხდელობისას, როდესაც სადაზღვევო კომპანიამ წერილობით არ განუსაზღვრა ვადის დამრღვევს შესრულების დამატებითი ვადა, მხარეთა ორმხრივი ინტერესიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. სასამართლომ ეს მოსაზრება გაამყარა იმ არგუმენტითაც, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნით დამზღვევს კომპანიისათვის არ მიუმართავს. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული მსჯელობა, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენ მიმართული ერთ-ერთი მხარის ნამდვილი, ცალმხრივი ნების (ხელშეკრულებიდან გასვლა) არსებობა არ არის დადგენილი. სკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის დაკისრების ნაწილში, სკ-ის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დასაბუთებული იყო (**გადაწყვეტილება №ას-1708-1602-2012 09.10.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 887-ე მუხლი):**

მოცემულ შემთხვევაში ბენეფიციარმა გარანატს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა ვადის უკანასკნელ დღეს ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა. აღნიშნული გზავნილი გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მიუვიდა ადრესატს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/947-2012 23.10.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/785-12 03.08.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ის გარემოება, რომ ფოსტას ბენეფიციარის ნება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ჩაჰბარდა სასამართლომ გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საფუძველად არასწორად მიიჩნია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** მართალია, ბენეფიციარმა ნება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გამოავლინა (ვადის უკანასკნელ დღეს), თუმცა ეს ნება ნამდვილად საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ იქცა, მაშინ, როდესაც ობიექტურად მიუვიდა გარანტს. ვადის უკანასკნელ დღეს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის რისკის მატარებლად სწორედ ნების გამომვლენი მიიჩნევა და არა ნების ადრესატი. ის

გარემოება, რომ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ბენეფიციარმა ფოსტას გადასცა ხელშეკრულების მოქმედების ვადის უკანასკნელ დღეს და ნება გარანტს მიუვება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სკ-ის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებს (**გადაწყვეტილება №ას-1595-1498-2012 01.11.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 982ე მუხლი):**

დავა ეხება მესაკუთრის მიერ, მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4675-12 13.03.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/15232-12 22.10.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 992-ე მუხლით, რადგან ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხის მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ფაქტობრივად, მოსარჩელეს ბინის გამოყენებით ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ განუცდია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 1008-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა უკავშირდება მოპასუხის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით. განსახილველი ნორმით საქმე გვაქვს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან. იმის გათვალისწინებით, რომ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ ურთიერთობაზე ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას სკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ვადა (**გადაწყვეტილება №ას-472-448-2013 05.12.13**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1008-ე და სსკ-ის 102-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2078-12 11.01.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/14367-11 30.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი სამომავლო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ისე დააკმაყოფილა, რომ არ გაითვალისწინა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კერძოსამართლებრივი უფლების განხორციელების ხანდაზმულობით შეზღუდვა, ასევე, სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დააკმაყოფილა სარჩელი ნაწიბურის გამოსასწორებლად საჭირო პლასტიკური ოპერაციის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ

მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. როდესაც მოსარჩელეს ჩაუტარდა ოპერაცია და ამოკვეთეს თირკმელი, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, სამომავლოდ ექიმის მეთვალყურეობის საჭიროების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა ამ ვადის გასვლის შემდეგაა აღძრული. რაც შეეხება პლასტიკური ოპერაციის აუცილებლობას, ეს, სკ-ის 102-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, ხოლო ამგვარი ოპერაციის ღირებულება უნდა დადასტურებულიყო სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია, მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი დოკუმენტი, რომლითაც შესაბამის ოპერაციაზე მხოლოდ კლინიკაში არსებული სავარაუდო ღირებულება დგინდება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა, სამომავლო მკურნალობის ხარჯების დაკისრების თაობაზე, ხანდაზმულია, ხოლო პლასტიკური ოპერაციის ღირებულების დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ამდენად, არ უნდა დაკმაყოფილდეს (**გადაწყვეტილება №ას-247-237-2013 01.07.13**).

### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1158-ე მუხლი):**

დავა ეხება მოძრავი ქონების ყადაღისგან განთავისუფლებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3377-12 11.01.13) ახალციხის რაიონული სასამართლოს (№2/-095-12 18.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 1158-ე მუხლი და მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დაყადაღებული ნივთები (გაზქურა, ცენტრალური გამათბობელი და ავეჯი) შეძენილია მეუღლეთა თანაცხოვრებისას, არ წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ის გარემოება, რომ ნივთები უშუალოდ შეძენილია ცოლის მიერ, სადავო არ არის, მაგრამ მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენს არა ის, რომ მან შეიძინა თავისი სახსრებით, არამედ ის, რომ ეს ნივთები არ წარმოადგენენ თანასაკუთრებას. შესაბამისად, სკ-ის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე, სსკ-ის 102-103-ე მუხლებისა და, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ ნივთებზე, რომლებიც შეძენილია ქორწინების პერიოდში მისი სახსრებით, არ წარმოიშობა თანასაკუთრება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ერთის მხრივ, იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე (ცოლი) ფლობს საწარმოს, რომელიც მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდშია დაფუძნებული და მისივე მითითებით სწორედ ამ საწარმოდან მიღებული შემოსავლით არის შეძენილი სადავო ნივთები. ხოლო რაიმე გარემოება, რომ მოსარჩელემ საწარმო დააფუძნა საკუთარი სახსრებით დადგენილი არ არის, მეორე მხრივ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მეორე მეუღლეს (ქმარი) ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და ასევე ჰქონდა საკუთარი შემოსავლის წყარო. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ცოლის სახელზე რიცხული საცხოვრებელი ბინა, სადაც ორივე მეუღლე ერთად ცხოვრობს და რომელშიც არსებული ნივთებია დაყადაღებული, შეძენილია, ასევე ქორწინების პერიოდში და დატვირთულია იპოთეკით ქმრის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალების გადახდის მიზნით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ერთობლიობაში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მეუღლეები ეწეოდნენ საერთო მეურნეობას და სარგებლობდნენ სადავო ნივთებით (გამათბობელი, გაზქურით, ავეჯით), რომლებიც მათი საერთო მოხმარების საგნებს წარმოადგენენ (**გადაწყვეტილება №ას-290-276-2013 23.12.13**).

**სასამართლოს შეცდომა („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/3324-12 31.10.12) ახალციხის რაიონული სასამართლოს (№2/180-12 10.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის თანამდებობაზე აღდგენის საკითხის მოწესრიგება ექვემდებარებოდა შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით დადგენილ რეგულირებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი და პირობები არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. ხსენებული ურთიერთობები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სწორედ ამ კანონის საფუძველზე წესრიგდება. („შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი კი, შეიძლება გახდეს მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ.); ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა შრომის ხელშეკრულების დარღვევად ვერ მიიჩნევა, ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევაზე კი, მოპასუხეს არ მიუთითებია. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარესთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა არამართლზომიერი იყო და ბათილად იქნა ცნობილი (გადაწყვეტილება №ას-1634-1533-2012 24.09.13).

**სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1733-12 7.6.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/318-12 29.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ნორმა უფლებას ანიჭებდა მოპასუხეს, მოსარჩელეებთან შრომითი ხელშეკრულება მოეშალა კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** ზემოაღნიშნული ნორმით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი. ხსენებული ნორმა არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სამუშაოდან გაათავისუფლოს დასაქმებული. მითითებული ნორმის ასეთი განმარტება წაახლისებდა დამქირავებლის თვითნებობას, ხოლო, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას აზრს დაუკარგავდა. სკ-ის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის განთავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას- 1283-1210-2012 30.10.13).

### 3. დასკვნა:

შესწავლილი ანალიზი შეეხო საკასაციო სასამართლოს განჩინება-გადაწყვეტილებების დასაბუთებას, რაც გახდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი. ასეთი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის ჩამოყალიბება:

- სსკ-ის 242-ე მუხლის საფუძველზე არასწორად გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ქართული ენის არცოდნის საფუძველით;
- სსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნათა უგულებელყოფით არასრულად იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნაზე;
- საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება არ შეაფასა სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- არ გამოიყენა სსკ-ის 162-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების განსაზღვრისას;
- არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს, სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, გააჩნდა განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძველიანი ინტერესი;
- სასამართლო გასცდა სსკ-ის 248-ე მუხლით დადგენილ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლი. ისე დააბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომ არ იმსჯელა, თუ რამ განაპირობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა დაბრუნების აუცილებლობა;
- დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის მოთხოვნები;
- არ გაითვალისწინა სსკ-ის 151-ე და 158-ე მუხლებით დადგენილი პრეზუმფციები, რაც ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია;
- ისე მიიჩნია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა სათანადო მოპასუხედ, რომ არ დაადგინა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი;
- არასწორად განმარტა სსკ-ის 130-ე მუხლი;
- მოპასუხის მიერ სხდომაზე გაკეთებული განმარტება არასწორად შეაფასა სსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 114-ე მუხლი;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 181-ე მუხლი;
- არასწორად განმარტა სსკ-ის 411-ე მუხლი და სარჩელი მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში უსაფუძველოდ დააკმაყოფილა;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 448-ე მუხლი და 450-ე მუხლის მე-3 ნაწილი;
- 489-ე მუხლზე დაყრდნობით არასწორად მიიჩნია სადავო ავტომატურად უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთად;

- არასწორად განმარტა სკ-ის 529-ე მუხლი;
- არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 631-ე მუხლით;
- არასწორად გამოიყენა სკ-ის 649-ე მუხლი და ჩათვალა, რომ ვინაიდან შემკვეთს შესრულებული სამუშაო არ გადასცემია, სამუშაოს შესრულების ფაქტი არ დასტურდება;
- არ იმსჯელა, არსებობდა თუ არა, სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები, ასევე, არასწორად განმარტა სკ-ის 526-ე მუხლი;
- საჩივარი სამომავლო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ისე დააკმაყოფილა, რომ არ გაითვალისწინა სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა;
- არასწორად განმარტა სკ-ის 1158-ე მუხლი;
- სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი მოაწესრიგა შრომის კოდექსით, ნაცვლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა;
- არასწორად მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი დამსაქმებელს აძლევს შრომითი ხელშეკრულების მოშლის უფლებას კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა  
და განზოგადების განყოფილება**